ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3003562

ნომერი: AR1462569

თარიღი : 08.12.2016

გაცემის თარიღი : 16.12.2016

გაცნობის თარიღი : 16.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გარდაბნის გზატკეცილის დასაწყისში.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე იუკურიძე პ/ნ 01018001241
- თბილისი ს. დიღომი დიდგორის ქ. N 10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებულ ბენზინგასამართ სადგურზე სარემონტო სამუშაოების–რებრენდირების (პლატფორმის გადახურვისა და შენობის შეფუთვის, განათებების ცვლილების, პლატფორმაზე და შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის, ლოგოს მოწყობის, არსებული ფასმაჩვენებელი სტენდის ახლით შეცვლის) განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, გარდაბნის გზატკეცილის დასაწყისში, შპს „ გრაალი 2009"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მოიჯარის შპს "რომპეტროლ საქართველო"–ს მიერ არსებულ ბენზინგასამართ სადგურზე სარემონტო სამუშაოების–რებრენდირების (პლატფორმის გადახურვისა და შენობის შეფუთვის, განათებების ცვლილების, პლატფორმაზე და შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის, ლოგოს მოწყობის, არსებული ფასმაჩვენებელი სტენდის ახლით შეცვლის) განხორციელებას. ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ "თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური".
"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.17.11.026.018; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, აბრის ესკიზური ნახაზი, მინდობილობა, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, გარდაბნის გზატკეცილის დასაწყისში, შპს „ გრაალი 2009"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მოიჯარის შპს "რომპეტროლ საქართველო"–ს მიერ არსებულ ბენზინგასამართ სადგურზე სარემონტო სამუშაოების–რებრენდირების (პლატფორმის გადახურვისა და შენობის შეფუთვის, განათებების ცვლილების, პლატფორმაზე და შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის, ლოგოს მოწყობის, არსებული ფასმაჩვენებელი სტენდის ახლით შეცვლის) განხორციელების შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.